



www.enpi-fleg.org



პროცესის ჩარჩოები
TF-სთვის, რათა გაატაროს დამატებითი
ღონისძიებები FLEG II პროგრამის
ფარგლებში
საქართველოსა და სომხეთში
(დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების სააგენტოს
მიერ)

2014 წ. აპრილი

EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST COUNTRIES FOREST LAW
ENFORCEMENT AND GOVERNANCE II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by the World Bank in partnership with WWF and IUCN



პროექტის განვითარების მიზნები

PDO: საქართველოსა და სომხეთისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა ტყის მართვის განმტკიცებაში შესაბამისი საერთაშორისო პროცესების განხორციელების გაუმჯობესების, სატყეო პოლიტიკის გაძლიერების, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების, და განვითარების, ადგილობრივ დონეზე, საპილოტე სახით, შემდგომი განმეორებისთვის, ტყის მდგრადი მართვის მოდელების ტესტირებისა და შეფასების გზით.

პროექტის სამი კონკრეტული მიზანია:

- i) 2005 წ. სანკტ-პეტერბურგის FLEG მინისტრთა დეკლარაციის იმპლემენტაცია და 2005 წელს დაწყებული პროცესის გაგრძელების უზრუნველყოფა (რეგიონალურ დონეზე),
- ii) სატყეო სექტორის მდგრადი პოლიტიკის ფორმულირება და იმპლემენტაცია, ტყის მდგრადი მართვისა და დაცვისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების ჩათვლით (ეროვნულ დონეზე), და
- iii) ტყის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირება სამიზნე რაიონებში შემდგომი რეპლიკაციისთვის (სუბ-ეროვნულ დონეზე).



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



პროექტის კომპონენტები

კონკრეტულად პროგრამის ღონისძიებები ფოკუსირებული იქნება შემდეგზე:

1. მხარდაჭერის აღმოჩენა საქართველოსა და სომხეთში პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებისთვის (მათ შორის საქართველოს ტყის კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება; მონაწილეობრივი პროცესები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან);
2. ტყის ინვენტარიზაციის მხარდაჭერა საქართველოში, შერჩეული სატყეო ერთეულის დასახმარებლად ტყის მდგრადი მართვის შემუშავებული გეგმის განხორციელებაში;
3. საპილოტე ღონისძიებები ტყის მდგრადი მართვისთვის საქართველოსა და სომხეთში (მათ შორის, ტყის აღდგენა სუბ-ალპურ მაღალმთიან ტყეებში საქართველოს შერჩეულ რეგიონებში (აჭარა); ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ენერგიის წყაროების გამოყენების შეფასება შეშის მოხმარებაზე და საქართველოში მთლიან ენერგომოხმარებაში მის წილზე ფოკუსირებით; რუქების შედგენა, საზღვრების დაზუსტება სომხეთში, იჯევანის აღკვეთილში; საარსებო წყაროს მოსაპოვებლად ალტერნატიული საქმიანობა, გამიზნული ტყეებით მდგრად სარგებლობაზე, მათ შორის სატყეო ტურიზმის და სხვა პროექტების შემუშავება და განხორციელება შერჩეულ თემებში);
4. სიტუაციური ანალიზი საქართველოს სატყეო სექტორში (მაგ. ნახერხის გამოყენების სხვადასხვა გზების შეფასება ხე-ტყის რესურსებზე ზეწოლის შესამსუბუქებლად);
5. პოტენციალის განვითარება და ტრენინგები საქართველოსა და სომხეთში (მათ შორის დაცული ტერიტორიების სააგენტოს (APA) ადგილობრივი ადმინისტრაციების დახმარება APA-ს ტყეების მდგრად მართვაში APA-ს რეინჯერებისთვის კონკრეტულ ტყეზე მორგებული ტრენინგის ჩატარების გზით; მედია ტური და ტრენინგი ჟურნალისტებისთვის);
6. საზოგადოების ინფორმირება და შედეგების გავრცელება საქართველოსა და სომხეთში (მათ შორის ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება ადგილობრივ მოსახლეობაში ენერგიის წყაროების მოხმარებასთან დაკავშირებით; საგზაო შოუები ტყეზე დამოკიდებულ თემებში სომხეთში).



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



ხელმისაწვდომობის შესაძლო შეზღუდვა

რესურსებით სარგებლობაზე შეზღუდვა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროექტით, ძირითადად იქნება მე-3 კომპონენტის შედეგი:

- ტყის აღდგენა სუბ-ალპურ მაღალმთიან ტყეებში საჭართველოში, აჭარის რეგიონში (ყველა ტყიანი მიწა საჯაროა, მაგრამ მასზე წვდომა იმ თემებისთვის, რომლებიც ადრე იყენებდნენ მას, შეიზღუდება);
- სომხეთში, იჯევანის აღკვეთილში რუქების შედგენა და საზღვრების დაზუსტება შეცვლის ზოგიერთი იმ ტერიტორიის წვდომის რეჟიმს, რომელსაც ადრე მკაფიო სტატუსი გააჩნდა და, შესაძლოა, გამოიყენებოდა ადგილობრივი თემების მიერ
- საპილოტე რაიონებში მოსახლეობის მიერ ახლომდებარე ტყეებიდან გამოტანილი შეშის წილი უნდა ჩანაცვლდეს გათბობის სხვა საშუალებით

პილოტური ღონისძიებების დეტალების შემუშავება მოთხოვნაზე დაფუძნებული და მონაწილეობრივი უნდა იყოს, მათ მიმართ გამოყენებული იქნება FLEG -ისთვის შემუშავებული SESAF.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



ძირითადი მიზნები OP 4.12-ის მიხედვით

- ▶ მიწის შესყიდვისა და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, მინიმუმამდე დაყვანა, ან სხვაგვარად შერბილება
- ▶ დახმარების გაწევა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის, რათა გააუმჯობესონ, ან აღადგინონ მაინც შემოსავალი და საცხოვრებელი სტანდარტები
- ▶ განსახლება, როგორც განვითარების შესაძლებლობა ოჯახებისა და თემის ინფრასტრუქტურისთვის
- ▶ (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის რისკების შემცირება ხელს უწყობს მსესხებლისა და ბანკებისთვის რისკების შემცირებასაც)



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები

- ▶ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა ყველა პირმა უნდა მიიღოს კომპენსაცია ამნ სხვაგვარი დახმარება, იურიდიული სტატუსის მიუხედავად
- ▶ ყველა აქტივის კომპენსირება ჩანაცვლების (შესაბამისი ღირებულების აქტივების შესაძენად საკმარის) ფასად
- ▶ შემოსავლის აღდგენამ შესაძლოა, აქტივების კომპენსაციის გარდა, მოითხოვოს დახმარების ღონისძიებები
- ▶ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები უნდა ჩაერთონ შერბილების ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში
- ▶ ნაყოფიერი კონსულტაციები
- ▶ ინფორმაციის საჯაროობა
- ▶ საჩივრების მოგვარების პროცედურა



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



დაგეგმვის ძირითადი მიზნები

- ▶ უარყოფით ზემოქმედებათა იდენტიფიცირება თავიდან აცილების, მინიმუმებდე დაყვანისა ან შერბილებისთვის
- ▶ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა დახმარება, რომ გააუმჯობესონ, ან აღადგინონ მაინც შემოსავალი და საცხოვრებელი სტანდარტები
- ▶ ინსტიტუციონალური ღონისძიებებისა და რესურსების ორგანიზება შერბილების ზომების გასატარებლად
- ▶ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის რისკების შემცირება ხელს უწყობს მსესლებლისა და ბანკებისთვის რისკების შემცირებასაც



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



პროცესის ჩარჩოები

- ▶ **გამოყენება:** მოსარგებლეთა მიერ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვები კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ პარკებსა და კონსერვაციის ტერიტორიებზე.

იმ პროექტებისთვის, რომელთა ფარგლებშიც ხდება წვდომის შეზღუდვა, მსესხებელი ბანკს აწვდის პროცესის ჩარჩოების მუშავერსიას, რომელიც შეესაბამება OP 4.12 -ის შესაბამის დებულებებს, როგორც შეფასების პირობა

- ▶ **მიზანი:** საარსებო წყაროს აღდგენა „ისეთი ფორმით, რომ შენარჩუნდეს ბუნებრივი რესურსების მდგრადობა“ და უარყოფითად არ იმოქმედოს მომხმარებლის საარსებო წყაროზე.

ჩარჩოები ითვალისწინებს მონაწილეობრივი პროცესის ჩამოყალიბებას, რომლის საშუალებითაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც შესაბამისი შეზღუდვები და შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ღონისძიებები.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org

სამოქმედო გეგმა

- ▶ შეზღუდვების ამოქმედებამდე საჭიროა მისაღები სამოქმედო გეგმა

პროექტის განხორციელების პროცესში და შეზღუდვების ამოქმედებამდე, განმახორციელებელი პარტნიორი, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, ამზადებს სამოქმედო გეგმას (PoA).

PoA-ში აღწერილია შემოღებული შეზღუდვები, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა დასახმარებლად გასატარებელი ზომები, და იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ღონისძიებები, განსაკუთრებით საარსებო წყაროს აღდგენის შემარბილებელი ღონისძიებების შეფასებასთან მიმართებაში, რათა დამატებითი ზომები გატარდეს, თუ ღონისძიებები არ იყო წარმატებული.

PoA ითვალისწინებს კონკრეტულ ინსტიტუციონალურ პასუხისმგებლობებს იმპლემენტაციის სხვადასხვა ასპექტებისთვის, აგრეთვე პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების შეფასებას ამ ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში, და პოტენციალის განვითარების ღონისძიებებს, რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ, რათა მიაღწიონ საჭირო დონეს.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



სამოქმედო გეგმა

2

PoA-ს შეიძლება პქონდეს პროექტისთვის მომზადებული ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმის ფორმა.

სპეციალური ჯგუფი შეაფასებს PoA-ს, რათა განსაზღვროს იმ ღონისძიებების განხორციელებადობა, რომლებიც ითვალისწინებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების დახმარებას, რომ გააუმჯობესონ (ან რეალურად აღადგინონ მაინც, პროექტამდე ან გადაადგილებამდე არსებულ დონემდე, რომელიც უფრო მაღალია) საარსებო წყარო ბუნებრივი რესურსების მდგრადობის სათანადოდ გათვალისწინებით.

ჯგუფის ხელმძღვანელი საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის PoA-ს მსოფლიო ბანკის InfoShop-ის და ინფორმაციის შესაბამისი ადგილობრივი წყაროების საშუალებით.

განმახორციელებელი პარტნიორი ყოველწლიურად ანგარიშს წარუდგენს მთავრობას, PAP/დაინტერესებულ მხარეებს და WB-ს PoA-ს განხორციელებასთან დაკავშირებით.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



1) ჩატარდება სოციალური შეფასება, რომლის მიზანი იქნება:

- შესაბამის რესურსებზე ეკონომიკური დამოკიდებულების რაოდენობრივი შეფასება (ე.ი. ამოსავალი მონაცემები საარსებო წყაროს აღსაღენად);
- ფორმალური და/ან არაფორმალური ინსტიტუციონალური სტრუქტურების აღწერა, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთოს გამჭვირვალე და წარმომადგენლობით საკონსულტაციო პროცესში (ეს მოიცავს დაუცველი და მარგინალიზირებული ჯგუფების დადგენას, რომლებსაც შესაძლოა სპეციალური პირობები დასჭირდეთ მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად).
- **პრობლემები**
 - ოჯახს შეიძლება შემოსავლის რამდენიმე წყარო გააჩნდეს - საჭიროა ანალიზი ოჯახის შიგნით;
 - ქალებს შესაძლოა დასაქმების განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნდეთ - საჭიროა გენდერული ანალიზი;
 - დაუცველი ჯგუფებს (ლარიბები, ხანში შესულები, ეთნიკური უმცირესობები) საარსებო წყაროს აღდგენის სხვა შესაძლებლობები აქვთ - უნდა დაწესდეს დაუცველობის კრიტერიუმები;

2) ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას იმის განსაზღვრაში, თუ ვინ არის და ვინ არ არის PAP (და ამგვარად, უფლებამოსილია თუ არა დაგეგმვის პროცესში უშუალო მონაწილეობისა და ბენეფიტების/ კომპენსაციების მისაღებად).



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები 2

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების დადგენისთვის გამოყენებულ იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ისინი, ვინც არაოფიციალურად საძოვრებად იყენებდა იმ ადგილებს, სადაც ტყე უნდა გაშენდეს;
- ისინი, ვისთვისაც საარსებო წყაროს, მთლიანად, ან ნაწილობრივ, წარმოადგენდა იმ ტერიტორიებზე შეგროვებული ტყის არა-მერქნული პროდუქტები, რომელთა წვდომაც შეიზღუდება
- ისინი, ვისთვისაც საარსებო წყაროს, მთლიანად, ან ნაწილობრივ, წარმოადგენდა იმ ტერიტორიებზე შეგროვებული შემა, რომელთა წვდომაც შეიზღუდება
- ის ოჯახები, რომლებიც გათბობისთვის და საჭმლის მოსამზადებლად, მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად, იყენებდნენ იმ ტერიტორიაზე შეგროვებულ შეშას, რომელთა წვდომაც შეიზღუდება.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



კონსულტაციები და მონაწილეობა

- ▶ **პოლიტიკის მოთხოვნა:** “საჭიროა კონსულტაციების ჩატარება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან სათანადო დონეზე და მათ უნდა გააჩნდეთ საშუალება, რომ მონაწილეობა მიიღონ შერბილების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში”
- ▶ **კონსულტაცია სათანადო დონეზე:**
 - ორმხრივი პროცესი, რომლის დროსაც დაინტერესებული მხარე იძლევა რჩევებს და წვლილი შეაქვს შეთავაზებული პროექტის დიზაინში
 - მრავალჯერადი პროცესი პროექტის დაწყებიდან დასრულებამდე
 - ხელს უწყობს დიალოგს გუბერნატორებს, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და განმახორციელებელ სააგენტოებს შორის
- ▶ NB: პროექტის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის არქონამ და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ჩართულობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები და უარყოფითად იმოქმედოს პროგრამის წარმატებაზე



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



საარსებო წყაროს აღდგენა

► პოტენციური ზემოქმედება

- შემოსავლის მიღების შესაძლებლობის დაკარგვა
- მხოლოდ კომპენსაცია არ იძლევა საცხოვრებელი სტანდარტების აღდგენის ან გაუმჯობესების გარანტიას

► შერბილების გათვალისწინებული ღონისძიებები

- სატყეო ტურიზმის განვითარებისა და განხორციელების მხარდაჭერა;
- შემოსავლის მისაღებად ტყის არამერქნულ პროდუქტებზე დაფუძნებული საქმიანობის მხარდაჭერა;
- რეკომენდაციების მომზადება საპილოტე ღონისძიებებისთვის საქართველოში ნახერხის მდგრად გამოყენებასთან მიმართებაში, რათა შემცირდეს ზეწოლა ტყის მერქნულ პროდუქტებზე (როგორც საშეშე, ასევე სამშენებლო მასალისთვის);
- სხვა პროექტები შერჩეულ თემებში.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



კონსულტაციების ძირითადი ეტაპები

- ▶ დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა (იხ. სლაიდები 11, 12)
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის შესახებ ინფორმაცია იყოს რელევანტური, დროული და ენობრივად ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის
- ▶ ინფორმაციის წინასწარ და შესაფერისი არხებით გავრცელება კონსულტაციების დაწყებამდე
- ▶ კონსულტაციების ადრეულ ეტაპზევე და უწყვეტად ჩატარება
- ▶ კონსულტაციების შედეგების გათვალისწინება პროექტის დიზაინში ან მკაფიოდ ახსნა, თუ რატომ არის ეს შეუძლებელი
- ▶ უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მათი კომენტარები
- ▶ კონსულტაციების პროცესის დოკუმენტირება



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



კონსულტაციების პროცესის დოკუმენტირება

- ▶ საჭიროა განხილულ ძირითად პრობლემებსა და სხვა საჭირბოროტო საკითხებთან და მათზე რეაგირებასთან დაკავშირებული კარგი ჩანაწერების წარმოება.
- ▶ ჩასაწერად შეიძლება აუდიო და ვიდეო საშუალებების გამოყენება, მაგრამ ჩაწერის ფორმის შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა იყოს მიწოდებული.
- ▶ საჭიროა კომენტარების ავტორების მითითების საკითხის განხილვა.
- ▶ მონაწილეები ინფორმირებული იქნებიან, თუ როგორ შეეძლებათ კონსულტაციების ჩანაწერების წვდომა.
- ▶ მონაწილეებმა უნდა მიიღონ ახსნა-განმარტება კონსულტაციის შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით.
- ▶ დაინტერესებულ მხარეთა ის წინადადებები, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია, მაინც უნდა ჩაიწეროს და განხილულ იქნეს.
- ▶ საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები თან დაერთვის საბოლოო PoA-ს.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org



საჩივრების მოგვარების მექანიზმი: დროული, ადვილად გამოსაყენებელი

- ▶ უნდა დაინიშნოს საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების კოორდინაციაზე (მიღებასა და დახარისხებაზე) (ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელი ან განმახორციელებელი პარტნიორის ადგილობრივი თანამშრომელი);
- ▶ საჭიროა საჩივრების თვალყურის დევნება და მონიტორინგი;
- ▶ მიღება უნდა დადასტურდეს და გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს დადგენილ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ვადისა);
- ▶ უნდა შეიქმნას რამდენიმე არხი (სულ მცირე ორი) უკუკავშირის/ საჩივრების მისაღებად (ფოსტა, ფაქსი, ელ-ფოსტა, ვებგვერდი, ტელეფონი, პირადად), ადგილობრივი პრაქტიკის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის არხების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.



EUROPEAN NEIGHBORHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT EAST
COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE
II PROGRAM

The Program is funded by the European Union and implemented by
the World Bank in partnership with WWF and IUCN



www.enpi-fleg.org

